ტვინების ბრძოლა
საქალაქო ჩემპიონატი | შემოდგომა 2024
U12 (IX, X, XI, XII კლასები)

1. 5 ქულიანი შეკითხვა
პირველი შეკითხვა. **შვიდწლიან ომში** მონაწილეობდნენ **საფრანგეთი**, **ავსტრია**, **რუსეთი**, **შვედეთი**, **ბრიტანეთი**, **პრუსია**, **ჰანოვერი და ასე შემდეგ**. ზოგიერთი ისტორიკოსი შვიდწლიან ომს **ნამდვილ იქსს** უწოდებს. **ტანკი პირველად** იქსში **გამოიყენეს**. დაასახელეთ იქსი **სამი** სიტყვით.

პასუხი: პირველი მსოფლიო ომი
კომენტარი: მე-18 საუკუნეში შვიდწლიანმა ომმა მრავალი ქვეყანა მოიცვა და მასშტაბური სახე მიიღო, რის გამოც მას ნამდვილ პირველ მსოფლიო ომსაც უწოდებენ. პირველად ტანკი პირველ მსოფლიო ომში გამოიყენეს.

2. 6 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
მასალაზე გამოსახული ორი ბალიშიდან ჩვენ **პირველი ბალიში დავფარეთ**. ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა შენიშნა, რომ შეგვიძლია, პირველი ბალიშისთვის **ზედმეტი არ გადავიხადოთ**, არამედ **მეორე ვიყიდოთ** და **გადავატრიალოთ**. დაწერეთ, **ევროპის** რომელი **ქვეყნის დროშაა** გამოსახული დაფარულ ბალიშზე.

პასუხი: საფრანგეთი
კომენტარი: მომხმარებელმა შენიშნა, რომ პირველი ბალიში გაცილებით ძვირი ღირს, იმის მიუხედავად, რომ მასზე უბრალოდ მეორე ბალიშის ფერებია ვერტიკალურად წარმოდგენილი. ნიდერლანდების წითელ-თეთრ-ლურჯი დროშის გადატრიალებით საფრანგეთის დროშას მივიღებთ.

3. 7 ქულიანი შეკითხვა
გაკვეთილებზე დასწრების აღსაწერად ჩინეთის ზოგ სკოლაში მოსწავლეებს **სასკოლო ტანსაცმელში იქსი** აქვთ **ჩაყენებული**. ერთმა ბლოგერმა ამ ფაქტთან დაკავშირებით გაიხსენა **ჰოგვორტსის რუკა** ჰარი პოტერის წიგნების სერიიდან. **აბრევიატურის** გამოყენებით დაწერეთ, რა შევცვალეთ იქსით.

პასუხი: GPS ტრეკერი

ჩათვლა: GPS; ჯი-პი-ესი
კომენტარი: სკოლის ფორმებში ჩაყენებული ჯიპიესით სკოლები მოსწავლეების გადაადგილებას რეალურ დროში აკონტროლებენ. ბლოგერმა ეს ფაქტი შეადარა ონავრების რუკას, რომელიც ჰოგვორტსის სკოლის ბინადრების გადაადგილებას უწყვეტად ასახავდა.

4. 5 ქულიანი შეკითხვა
ერთ იუმორისტულ გადაცემაში პერსონაჟი **ხუმრობს**, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის **გასვლით** შეხვედრაში **იქსი იგრეკის წინააღმდეგ** ისე **კარგად თამაშობს**, თითქოს **სახლში თამაშობდეს**. ამავე გადაცემაში ის აღნიშნავს, რომ **იგრეკში მეტი არაიტალიელი ფეხბურთელია**, **ვიდრე იქსში**. დაასახელეთ იქსიც და იგრეკიც.

პასუხი: ინტერი, მილანი
კომენტარი: იტალიის ქალაქ მილანის ორი საფეხბურთო კლუბი საერთო სტადიონზე, სან სიროზე თამაშობს. როდესაც ისინი ერთმანეთს ხვდებიან, სტუმრის სტატუსით მოთამაშე გუნდიც სინამდვილეში სახლში თამაშობს. ინტერის სრული სახელია "ინტერნაციონალე", რაც "საერთაშორისოს" ნიშნავს, თუმცა, გაირკვა, რომ მილანში მეტი უცხოელი ფეხბურთელია.

5. 6 ქულიანი შეკითხვა
იმის ხაზგასასმელად, რომ **ბელადი ყველა დანარჩენთან** შედარებით **ძალიან დიდი** და **მაღალია**, **მაკმერფი** მას **ადარებს გულს**. მკითხველი **გულს** იცნობს **1726 წლის წიგნიდან**. შეკითხვის ტექსტში **ორჯერ** ერთსა და იმავე სიტყვაში **გამოვტოვეთ ასოები**. აღადგინეთ სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: გულივერს
კომენტარი: წიგნში "გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა" ბელადი სხვებთან შედარებით შესამჩნევად მაღალია. ამის გამო, მაკმერფიმ გაიხსენა 1726 წლის ნაწარმოები "გულივერის მოგზაურობა", სადაც გულივერი მინიატურული ადამიანების სამეფოში ხვდება.

6. 7 ქულიანი შეკითხვა
ადგილობრივი **ლეგენდის** თანახმად, **იქსის ადგილსამყოფელი ხვამლის მთაა.** საინტერესოა, რომ ხვამლის მთიდან დაახლოებით **50 კილომეტრში** მდებარე **ტოპონიმი იქსის სახელს ატარებს**. დაწერეთ იქსით შეცვლილი **სახელი**.

პასუხი: პრომეთე
კომენტარი: ადგილობრივი ლეგენდა გვთავაზობს მოსაზრებას, რომ პრომეთე სწორედ ხვამლის მთასაა მიჯაჭვული. საინტერესოა, რომ ხვამლის მთიდან არც ისე შორს პრომეთეს მღვიმე მდებარეობს.

7. 5 ქულიანი შეკითხვა
როდესაც **პატარა** და **გამჭრიახმა** კომპანია "**ეფლმა**" ტექნოლოგიური ინდუსტრიის **გიგანტ** "**აიბიემს**" **აჯობა**, გაიხსენეს **ძველი აღქმის ორი პერსონაჟი**. დაასახელეთ ეს პერსონაჟები **ანბანის მეზობელ ასოებზე დაწყებული თითო-თითო** სიტყვით.

პასუხი: დავითი და გოლიათი

კომენტარი: განსხვავებული აზროვნებით გამორჩეულმა კომპანია “ეფლმა” თავისი მცირე მასშტაბების მიუხედავად გაყიდვებში გადაუსწრო “აიბიემს”, რომელიც ტექნოლოგიურ გიგანტად ითვლებოდა. ამ ფაქტის კომენტირებისას გაიხსენეს, როგორ დაამარცხა ფიზიკურად პატარა დავითმა კოლოსალური ზომის გოლიათი.

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]

ერთი **მულტსერიალის** პერსონაჟი **გახვეულია ტანსაცმელში**, რომელსაც **აწერია** “**ცხვარი**”. ამ გზით ეს პერსონაჟი თანამოსაუბრე ცხვრის **ნდობის მოპოვებას** ცდილობს. დაწერეთ, **რა ცხოველია** ეს პერსონაჟი.

პასუხი: მგელი
კომენტარი: ამ ეპიზოდში გადათამაშებულია სახარებისეული იდიომი “ცხვრის ტყავში გახვეული მგელი”. ეს იდიომი გულისხმობს მატყუარა ადამიანს, რომელიც სხვების თვალში ნდობის მოპოვებას ცდილობს. სიტყვები “გახვეულია ტანსაცმელში” დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა ამ იდიომზე.

9. 7 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
2020 წელს **მიუნხენის ბაიერნი** განიხილავდა **იქსთან თანამშრომლობას**, თუმცა საბოლოოდ **აუდი** არჩია. დაასახელეთ იქსი **სამი ასოს** გამოყენებით.

პასუხი: BMW
კომენტარი: მიუნხენის ბაიერნის ლოგოზე გამოსახული ლურჯ-თეთრი რომბები სიმბოლიზირებს ბავარიის დროშას, რომელიც, ანალოგიურად, ლურჯ-თეთრი უჯრებისგან შედგება. გერმანიის მხარე ბავარია ასევე ცნობილია ავტომწარმოებლით BMW, რომლის ლოგოზეც ასევე შევხვდებით ბავარიულ ლურჯ-თეთრ უჯრებს.

10. 5 ქულიანი შეკითხვა
იმპერატორ ავგუსტუსის ბრძანებით **იმპერიის ცენტრში** აღმართული იყო **დიდი ზომის ქვა**. ეს ქვა მრავალი ქალაქისაკენ მიმავალი **გზების გასაყარზე** იყო მოთავსებული და მასზე ეწერა **ქალაქების დაშორებები**. ერთი ვერსიით, სწორედ აქედან მოდის **გამოთქმა**, რომ **ყველა** ... დაასრულეთ წინადადება **სამი** სიტყვით.

პასუხი: გზა რომში მიდის

კომენტარი: შეიძლება ითქვას, რომ რომის იმპერიაში ყველა გზა ამ ქვისკენ მიდიოდა, თავად ქვა კი, რასაკვირველია, რომში იყო აღმართული.

11. 6 ქულიანი შეკითხვა
გადმოცემის თანახმად, ცნობილი **კომპოზიტორი** თავისი **მე-9 სიმფონიის** დაწერისას იყო **ასეთი**. რომანში "**გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა**" ერთ-ერთი პერსონაჟი თავს **ასეთად აჩვენებს**, რათა ინფორმაცია **შეუმჩნევლად შეაგროვოს**. დაწერეთ სიტყვა, რომელიც **შევცვალეთ** სიტყვით "ასეთი".

პასუხი: ყრუ
ჩათვლა: სმენადაქვეითებული
კომენტარი: გავრცელებული ვერსიით, ბეთჰოვენმა თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები მას შემდეგ შექმნა, რაც სრულად დაკარგა სმენა. წიგნის მთხრობელი, ბელადი თავს ყრუდ აჩვენებს, რათა ზედმეტი ყურადღების მიქცევა აირიდოს და თან ინფორმაციაც შეაგროვოს.

12. 7 ქულიანი შეკითხვა
სასმელი პროდუქტის მწარმოებელი ერთი კომპანიის **ლოგოზე** ასო **გ-ს იქსის ფორმა** აქვს. **1970 წლის ქართულ ფილმში** პერსონაჟი **იქსში იჭედება**. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: ქვევრი
კომენტარი: ღვინის მწარმოებელი კომპანიის დასახელებაში ასო "გ" გამოყვანილია ქვევრის ფორმით. ფილმ "ქვევრის" პერსონაჟი ქვევრში იჭედება.

13. 5 ქულიანი შეკითხვა
ერთი ვერსიით, ეს **სიმბოლო** ლათინური სიტყვა **IO-დან [იო-დან] წარმოიშვა,** რომელიც **ემოციებს** გამოხატავდა. თავდაპირველად, ასო **ო**-ს უბრალოდ ასო **ი**-ს **ქვეშ წერდნენ**, შემდეგ კი "**ო**" ნელ-ნელა **დაპატარავდა**. პასუხების ფურცლებზე **აუცილებლად** გამოსახეთ ეს სიმბოლო!

პასუხი: ! [ძახილის ნიშანი]
კომენტარი: ვერსიის თანახმად, თავდაპირველად ზემოთ წერდნენ ასო-ბგერა ი-ს, ქვემოთ კი უწერდნენ ო-ს, რის შედეგადაც დროთა განმავლობაში ძახილის ნიშანი მიიღეს. ძახილის ნიშანი წინადადების ბოლოს ემოციურობაზე და ბრძანებით ფორმაზე მიანიშნებს. ჩვენ სიტყვებით "აუცილებლად გამოსახეთ ეს სიმბოლო" წინადადება ბრძანებით ფორმაში გადავიყვანეთ.

14. 6 ქულიანი შეკითხვა
]დასარიგებელი მასალა

]

თქვენ წინაშეა **2024 წლის სარეკლამო პოსტერი**. დაასახელეთ **ორი პერსონაჟი**, რომლებიც **დავფარეთ** სურათის მარცხენა ნაწილში.

პასუხი: დედპული; ვულვერინი
ჩათვლა: დედპული; სამურავი
კომენტარი: კომპანია ჰაინცმა კომიქსების ახლადგამოსული ფილმის წარმატებით ისარგებლა და დაარეკლამა თავისი ორი პროდუქტი - კეტჩუპი და მდოგვი - რომელთა ფერებიც დედპულსა და ვულვერინს მოგვაგონებს.

15. 7 ქულიანი შეკითხვა
სხვადასხვა წყაროს თანახმად, **მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში იქსს** "**თავისუფლების სტეიკს**" ან "**თავისუფლების სენდვიჩს**" ეძახდნენ, რათა თავიდან აერიდებინათ ასოციაციები **ევროპის** ერთ-ერთ **ქალაქთან**. დაასახელეთ იქსი **ერთი** სიტყვით.

პასუხი: ჰამბურგერი
კომენტარი: ამ გზით ამერიკელები გაურბოდნენ ამ პოპულარული საჭმლის ასოცირებას გერმანულ ქალაქ ჰამბურგთან. გერმანულად ჰამბურგერი ნიშნავს ჰამბურგის მკვიდრს, ჰამბურგიდან წამოსულს.